№ 102 მაისი 17, პარასკევი 1891 მაისი 17, პარასკევი № 102

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, ო. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მანათი და 25 კაპ.

---

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

გრიგოლ პავლეს ძე ტატიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა ელისაბედ ივანეს ასულისასა და სთხოვს მობრძანდნენ შაბათს, 18 მაისს, ანჩისხატის ეკკლესიაში, სადაც განსვენებულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა. მიცვალებულს დაასაფლავებენ პეტრე-პაველის სასაფლაოზე. (2—1)

---

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას, რომ

დამზღვეველ საზოგადოების

## „მოსკვა-“ს

საავენტო ახალ-სენაკში გაუქმებულია და მამულების დაზღვევა „მოსკვა“-ს დამზღვეველს საზოგადოებაში სენაკისა და ზუგდიდის მაზრებიდგან გადატანილია „მოსკვა“-ს საზოგადოების ფოთის სააგენტოში, ვაუწყებ რა ამას „მოსკვა“-ს სააგენტოსა ბბ-ნთ დამზღვეველთ და აგრეთვე იმათ, რომელნიც ისურვებენ ამ საზოგადოებაში მამულის დაზღვევას, ვთხოვ, მიჰმართონ პირდაპირ „მოსკვა“-ს დამზღვეველ საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ქალაქ ფოთში ჩემს სავაჭრო სახლში „დე-სუნდეციჩისა და ამხ.“-ის ფირმით.

ფოთელი აგენტი „მოსკვა“-ს დამზღვეველ საზოგადოებისა

გ. დე—სუნდეციჩი

(3—2)

---

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო, ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე 79 §-სა, წლიური მორიგი საზოგადო კრება ბ. ბ. ხსენებულის ბანკის წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგომში ოცდაერთს ამა მაისისათვის, დილით თერთმეტს საათზედ.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არის:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშის გასულის 1890 წლისა.

ბ) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარის წლისამებრ.

გ) განაწილება იმ თანხისა, რომელიცა წმინდა მოგებიდან გადადებულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

დ) შეცვლა და დამტეიცება ზოგიერთთ ბანკის წესდების §§.

ე) მოხსენება ბანკის საქმეთა მართვაზე.

ვ) ზედამხედველი კომიტეტის დასკვნა 3 ივლისის გასულის 1890 წლისა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის კოლლისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძის პასუხის გებაზე სამსახურისამებრ დამნაშაობის გამო, რომელიცა დაჰრჩა დაუხილველად ბანკის წევრთა მოულოდნელის კრების მიერ 30 ოქტომბერს იმავე 1890 წლისა

ზ) აღრჩევა რიგით გამომსვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, გამგეობის წევრის მოადგილესი და ორთა წევრთა ზედამხედველის კომიტეტისა. (6—4)

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება შესდგება ორშაბათს, ოცს ამა მაისსა, ცხრა საათზედ, დილით, ტფილისის კრების სადგურის დარბაზში, თავად მუხრანბატონის სახლებში.

ამაზედ აღმასრულებელი ტფილისის გუბერნიის წინამძღომლის თანამდებობისა აუწყებს თავად-აზნაურობას გუბერნიისას. (3—1)

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 15 მაისს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში სალიტერატურო საღამო იყო დანიშნული. საღამოს საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო, მთელი დარბაზი სავსე იყო მოსწავლეთა მშობლებითა და ნათესავებით. ბავშვები მღეროდნენ ქართულად და რუსულად და აგრეთვე ლექსებსაც კითხულობდნენ. განსაკუთრებით კარგად იგალობა ხოროჰ ყმაწვილებისამ „ვედრება პატარა გლეხისა“, „ჩარი-რამა“, „ნანინა“, „ჩქიმი ცოდო“, ისე კარგად, რომ ზოგიერთი, საზოგადოების თხოვნით, გაანმეორებინს. მკითხველთა შორის უფრო თავი იჩინეს ლ. ნათაძემ, რომელმაც „ყვავი და მელა“ წაიკითხა ქართულად, გ. ნათაძემ—„განდეგილი“ წაიკითხა რუსულად, და ვაჩნაძემ—„გუთნის-დედა“ წაიკითხა ქართულად. ყველაზედ მეტად-კი ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა მოსწავლემ ა. რატიშვილმა და ლ. ნეტოლიცკიმ: პირველმა საუცხოვოდ წაიკითხა რუსული ლექსი „Страшный Звѣрь“ და მეორემ—ქართულად რაფ. ერისთავის ლექსი „ალზევანს წასვლა“. დასასრულ ყმაწვილებმა „ღმერთო, ჰვარეიდე მეფესაო“ იგალობეს და თერთმეტ საათის ნახევარზედ დაიშალა ნასიამოვნები საზოგადოება.

*** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნაკი შემდეგის სათაურით „სამნი ბრძენი ილ. იკონითელის მიერ“ (?). ეს წიგნაკი გადმოთარგმნილი ლეგენდაა და ძლიერ უხეიროდაც გადმოთარგმნილი. აი ორიოდე ნიმუში ავტორის ქართულისა „მისი (კაცისა) არწივის ცხვირი“ (უთუოდ რუსულში, „орлиный носъ“ იქნებოდა); „მასზედ იყო ტანისამოსი“; „რაღაცა ზესთა ბუნებითი ძალა“. მთელი წიგნაკი სულ ამისთინა და ამაზე უარესის მარგალიტებითაა სავსე. არ შეგვიძლიან, არ ვუსაყვედუროთ და არ გავკიცხოთ ჩვენი ახალგაზდები, რომლებიც ამ გვარად მოუმზადებლობასა ჰკიდებენ ხელს მწერლები.

*** მოსკოვი: წელს მოსკოვში გამოჩენილის პროფესორის ალექსანდროვა-კოჩეტოვას სასიმღერო სასწავლებელში ჩვენმა თანა-მემამულემ ქ-ნმა მაშო ძნელაძისამ სწავლა დაამთავრა და ამ მაისის დამლევს აპირებს ქ. ტფილისში კონცერტის გამართვას და სხვათა შორის იმღერებს ქართულის ხმებსაც. ქ-ნს მ. ძნელაძისას განზრახვა აქვს, აგრეთვე კახეთსაც ესტუმროს შემოდგომაზედ და თელავსა და სიღნაღში კონცერტი გამართოს.

*** სიღნაღი: 12 მაისს, საღამოს ცხრა საათზედ, სოფელ ვაქირში ერთმა ახალგაზრდა კაცმა, მღვდლის შვილმა სარდიონ ტყავაძემ, რომელიც აქაურ მომრიგებელ შუა კაცთან მსახურობდა, თავი მოიკლა. განსვენებული მშვიდი და პატიოსანი კაცი იყო. მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ გამორკვეული არ არის.

თუმცა კალიას აქაური მთავრობა და მკვიდრნი თავ-გამოდებით ებრძვიან, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მავნე მწერი თან და თან მრავლდება. („Новое Обозрѣніе“).

*** 14 მაისს პოლიციის მეორე ნაწილში კოლხიდის სასტუმროში ვიღაც ახალგაზდა კაცმა მატროსის ტანისამოსიანმა თავი მოიკლა. როგორც ჯიბეში ნაპოვნ მოწმობიდგან სჩანს, ეს კაცი უნდა იყოს ტფილისის მცხოვრებელი ნიკოლოზ შარავვი. შარავვი გოხჩაროვის ქუჩაზედ სცხოვრობდა. გვამი ტფილისის სამკურნალოს საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

*** ამავე დღეს, ნაშუადღევის ოთხს საათზე ახალ არსენალის ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელს მიხეილ ბაღდასაროვს სიმთვრალის დროს თავის ჩამოხრჩობა უნდოდა, მაგრამ მალე მიეშველნენ, თოკიდგან ჩამოხსნეს და გადაარჩინეს.

*** 15 მაისს ტფილისის მცხოვრებელმა 18 წლის გასათხოვარმა ქალმა ანისია დიმიტრის ასულმა, ალერ შემკობით თავის მოკვლა განიზრახა და საქონლის მატარებელს ქვეშ უნდოდა ჩავარდნილიყო, მაგრამ მალე მიეშველნენ და გადაარჩინეს. მიზეზი ასე თავის გამომეტებისა უიმედო სიყვარული ყოფილა.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

(იხ. „ივერია“ № 101)

ბანკის მმართველობის მოხსენების წაკითხვას შემდეგ თავმჯდომარემ ი. ს. ჭავჭავაძემ განაცხადა, რომ კრება 15 მაისის ნაშუადღევის ორ საათამდე გადაიდოსო, მაგრამ კრება არ დაეთანხმა. კრება კვლავ განაგრძეს და თავმჯდომარემ გამოაცხადა, წლიური ანგარიში დავამტკიცოთო.

მ. მაჩაბელი. წლიურ ანგარიშის დამტკიცების წინააღმდეგი არა ვარ, მხოლოდ ამ ანგარიშის შედგენის შესახებ მაქვს სალაპარაკო. თუ ანგარიშის დამტკიცებას შემდეგ ნება მექნება იმის გამო ვილაპარაკო, როგორ უნდა შესდგეს ხოლმე წლიური ანგარიში, მაშინ თანახმა ვარ მაგის დამტკიცებისა. მე იმასა ვშიშობ, რომ შემდეგ, როცა ანგარიში დამტკიცებულ იქმნება, ჩვეულებრივის წესისამებრ არა სთქვათ, ანგარიში დამტკიცებულია და რაღა დროს იმის გამო ლაპარაკიაო. თუ ასე იქნება, მაგ შემთხვევაში ეხლავე ვილაპარაკებ ანგარიშის შედგენის შესახებ. საზოგადოდ არ მომწონს, რომ წლიური ანგარიში ისე შესდგეს ხოლმე, როგორც აქა აქვთ ჩვეულებად, თუმცა აქავე უნდა განვაცხადო, რომ წრევანდელ ანგარიშისა და იქ ნაჩვენებ რიცხვების წინააღმდეგი არა მაქვს-რა. მე მხოლოდ ის მინდა, ბანკის მმართველობასა და ზედამხედველს კომიტეტს ორიოდე შენიშვნა მივცე წლიურ ანგარიშის შედგენის გამო.

თ. ლ. მაღალაშვილი. თუ მ. მაჩაბელს სურს წლიურ ანგარიშის შედგენის შესახებ ილაპარაკოს, მაშ ჯერ სთქვას, რაცა აქვს სათქმელი, და შემდეგ დავამტკიცოთ ანგარიში.

დ. ავალიშვილი. არ მესმის, რას ჰნიშნავს, ანგარიშის შედგენის შესახებ მინდა ვილაპარაკოო. რაკი ანგარიში სწორედ არის საზოგადოების მიერ ცნობილი და თვით მ. მაჩაბელიც ამბობს, რომ ანგარიშის წინააღმდეგი არა მაქვს-რაო, მაშ ჯერ ანგარიში დავამტკიცოთ და შემდეგ სთქვას, რაც სათქმელი აქვს ანგარიშის შედგენის გამო.

მ. მაჩაბელი. ანგარიშის დამტკიცების წინააღმდეგი არა ვარ, თუ შემდეგ ნება მექნება წლიურ ანგარიშის ნაკლულევანებას შევეხო.

გ. თარხნიშვილი. რამდენადაც მესმის ბ-ნ მაჩაბლის აზრი, იგი წლიურ ანგარიშის დამტკიცებას არ ეწინააღმდეგება, მხოლოდ ამბობს, ორიოდე ისეთს საგანს მინდა შევეხო, რომ შემდეგ ანგარიშებისათვის მხედველობაში იქონიოთო. მაშასადამე, ანგარიშის დამტკიცებას შემდეგაც სრული ნება აქვს, ამ საგნის გამო ილაპარაკოს.

ა. ი. კობიაშვილი. დამტკიცდეს ანგარიში, მხოლოდ ის 45,374 მან. 85 კაპ. გამოირიცხოს წლიურ ნაღდ მოგებიდგან, რომელიც მესხებლებზეა დარჩენილი და ჯერ არ შემოუტანიათ.

ნ. დ. ანდრონიკაშვილი. მეც ამ მხრით წინააღმდეგი ვიყავი წლიურ ანგარიშის დამტკიცებისა ზედამხედველ კომიტეტში, რადგან ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარია თავისს ცირკულიარში პირდაპირ ამბობს, რომ ვადა-გადაცილებული შემოსატანი წმინდა მოგებიდგან უნდა იქმნას გამორიცხულიო. მაგრამ დღეს-კი ეს მოუხერხებელიაო, ამბობდა ზოგიერთი, რადგან ნაღდი შემოსავალი სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროებას არ გახვდება და ეს გარემოება კი საერთო დრტვინვას გამოიწვევს, კეთილ საქმეების წინ-სვლას შეაფერხებსო. ამ აზრისანი იყვნენ ზედამხედველ კომიტეტში და გადასწყვიტეს კიდეც, ეგ

წესი ვადა-გადაცილებულს შემოსატანის მოგებიდგან გამორიცხვისა მერმისიდგან შემოვიღოთო. ჩემის აზრით-კი, ნაღდის მოგების შემცირება ბანკის მმართველობას არავითარს ბრალს არ დასდებს. ეს-კი უნდა ვსთქვა, რომ სანამ ანგარიში არ დამტკიცდება, უწესოებაა მოგების განაწილება, როგორც ეხლა სჩადის მმართველობა. ჩემის აზრით, მომავალს წელს სულ აღარ გვექნება მოგება, მაგრამ ეს საზოგადო საჭიროებას არაფერს ზარალს არ მისცემს. ამით მხოლოდ ანგარიშს გავსწმენდავთ, როგორც ფინანსთა მინისტრის ცირკულიარშიაც არის ნათქვამი. რაც შეეხება იმ დაწესებულებათ, რომელთაც დახმარება სჭირიათ, ეს დახმარება მმართველობას შეუძლიან სხვა თანხიდგან მისცეს ავანსად და როცა შემოვა ვადა-გადაცილებული შემოსატანი, მაშინ შეავსოს.

ა. ჩოლაყაშვილი. ეგ რა ცირკულიარია ფინანსთა მინისტრისა, ან როდის მოვიდა მაგისთანა ცირკულიარი.

ნ. დ. ანდრონიკაშვილი. ეს ცირკულიარი გამოვიდა 1884 წელს ყველა ბანკისათვის და ჩვენც მოვალენი ვართ ავასრულოთ იგი.

ა. ჩოლაყაშვილი. რამდენადაც ვიცი, მაგისთანა ცირკულიარი კერძოდ ჩვენს ბანკს არ მოსვლია. რომ მოსვლოდეს კიდეც, როგორ მოითხოვს მინისტრი ისეთს რასმე, რის ასრულებაც შეუძლებელია. ყოველივე სარჩიელი კანცელარიისა, სავალდებულო-კი არ არის, სახელმძღვანელოა. ჩვენც უნდა ვიხელმძღვანელოთ და ვეცადოთ, რომ ფორმალური მხარე არ დაირღვეს. როგორ უნდა ავასრულოთ ამ ჟამად ეგ წესი, როცა მოუხერხებელია მაგის ასრულება და მსესხებლებს არ შეუძლიანთ სრულად შემოიტანონ თავისი სარგებელი. მაგალითებრ, ჩვენს წესდებაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ყოველი დარჩენილი მამული ექვსს თვეში უნდა გაიყიდოს უეჭველადაო, მაგრამ ვერც ერთი ბანკი-კი ვერ შესძლებს ამ კანონს. წესდებაშივეა პირდაპირ ნათქვამი, რომ მხოლოდ ხარჯი და ზარალი უნდა გამოირიცხოს მოგებიდგანაო. მსესხებელს ორის თვის შემდეგიცა აქვს ნება შემოიტანოს თავისი შემოსატანი...

ნ. ჩოლაყაშვილი. დაგვილაღეთ, ჯერ შინ დაგვითხოვეთ. ანდრონიკაშვილის ლაპარაკისა არა გვესმის-რა, რის ოთხას-ხუთასი თუმანი, სად არის, ვისა ჰმართებს? უნდა გვესმოდეს, რომ ვსთქვათ რამე. ხვალისათვის მოგვიმზადეთ ეგ საგანი გარკვევით და მერე დაგვამტკიცებინეთ.

დ. ხვალიშვილი. ნება მიბოძეთ აგიხსნათ, ეს 45,374 მან. 85 კაპ. რა ფულია. აი რას ჰნიშნავს ვადა - გადაცილებული შემოსატანი: ვსთქვათ, ჩემი მამული გასასყიდად არის დანიშნული 200 მანეთის შეუტანლობის გამო, ვაჭრობის წინა დღეს შევიტანე 170 მან., დარჩა 30 მან. ნუ თუ ამ სამის თუმნისათვის მთელი მამული უნდა გამეყიდოს? ეს დარჩენილი, შეღავათად მიცემული ვალი ყველა მოვალისა ერთი ერთმანეთს შეეკეცა და 45 ათას მანეთამდე ავიდა.

მ. მაჩაბელი. თქვენი ლაპარაკი კარგად არ მესმის. ბ-ნი ანდრონიკაშვილი ნათლად ამბობს, ეს ფული დებიტორებზეაო ვალად. არ შემოსულა და მაშ არც დღევანდელს ნაღდ შემოსავალში უნდა ირიცხებოდეს. კომიტეტის წევრნი ბ ნნი კობიაშვილი და ანდრონიკაშვილი მართალნი არიან, როცა ამბობენ, რომ ეგ მსესხებლებზედ დარჩენილი ფული ნაღდ მოგებიდგან უნდა გამოირიცხოსო. მართალია, ეგ ფული დაკარგული არ არის, ნაწილ-ნაწილად შემოდის, სულაც შემოვა, მაგრამ რადგან დღეს ხელში არა გვაქვს, არც ნაღდად შემოსულად უნდა ითვლებოდეს. რამდენიც შემოვა, იმდენი უნდა აღვნიშნოთ, დანარჩენი-კი წლიურს ბალანსში უნდა იყოს ნაჩვენები (ასტყდება საერთო ლაპარაკი) ბატონებო, დამაცალეთ, მე ანგარიშის შედგენის გამო მინდა ლაპარაკი.

ნ. დ. ანდრონიკაშვილი. ეს 45 ათასი ბალანსში ნაღდ ფულად არის ნაჩვენები. ვადა-გადაცილებული შემოსატანი იმასა ჰნიშნავს, რომ შემოსატანის მაგიერ მმართველობამ გადაიხადა, და თუ სხვისაგან გადასახდელად აღნიშნა, მხოლოდ იმიტომ-რომ იმედი აქვს, შემოვაო. საკრედიტო კანცელარია-კი იმ აზრისაა, რომ როცა შემოიტანონ, მაშინ აღნიშნეთ შემოსულად და არა ეხლაო. საკრედიტო კანცელარია თუ არას ამბობს და ითმენს, ითმენს იმ დრომდე, ვიდრე გაგებინებს ვინმე, რომ თავისი მსჯავრი დასდოს. ეს ფული საერთო შემოსავლიდგან უნდა გამოირიცხოს, რადგან შემოსული არ არის. მართალია, ეგ ფული დაკარგული არ არის, შეღავათად აქეთ მიცემული მსესხებლებს, მამული არ გაუყიდეს, მაგრამ შემოსულად მაინც არ უნდა იყოს აღნიშნული.

მ. მაჩაბელი. ძალიან კარგი უქნიათ, თუ არ გაუყიდნიათ მამული, ხუთის მანეთისათვის ხომ ვერ გაჰყიდნენ? თვით ბანკის საზარალოც იყო, რადგან მსესხებელი დააკლდებოდათ და ორიოდე გროშისათვის ეს რად უნდა ჩაედინათ, თუ მამული ღირებული იყო.

ნ. დ. ანდრონიკაშვილი. სამი თუმანი-კი არა, ზოგიერთზედ 6,000 მანეთიც არის. მე იმას-კი არ ვამბობ, რომ მამულს უნდა ჰყიდდნენ-მეთქი, არამედ იმ აზრისა ვარ, რომ ბანკმა ეს ვადა-გადაცილებული შემოსატანი მოგებიდგან უნდა გაიღოს და მაშინ აღნიშნოს შემოსულად, როცა შემოვა.

ნ. ჩოლაყაშვილი. როგორც ვხედავთ, დღეს აქ მხოლოდ იმათთვის ლაპარაკობენ და იმათ აქეთ პატივი, ვისაც ფრაკები აცვია, ან ვინც მმართველობაში ყოფილა წინად წევრად. ჩვენ არა გვესმის-რა, გაგვაგებინეთ. გთხოვთ გამაგებინოთ, ეგ ორმოც-და-ხუთი ათასი მანეთი რა არის, შემოსავალია, თუ არა? თუ არ შემოსულა, ალბად არ არის, შემოსავალში რად უნდა ჩაიწეროს. ხუმრობაა, ჯერ ორმოც-და-ხუთი ათასი ნაფოტიც ქონებაა, ოც დღეს გამიხურებს ბუხარს.

დ. ი. მუსხელოვი კვლავ იმეორებს ანდრონიკაშვილისა და ავალიშვილის ნათქვამს და დასძენს, რომ რაკი აქამდე სულ სხვა გვარად სწარმოებდა ანგარიში და უეცრად ახლა სხვაფრივ წარმოება ძნელია, ამიტომ მერმისიდგან დავაწესოთ აგრე წარმოება საქმისა, რომ ბანკის ნაღდი ფული გამოცხადებულს უდრიდესო.

ა. ი. კობიაშვილი. საკრედიტო კანცელარია პირდაპირ ამბობს, რომ მოგებიდგან უნდა გამოირიცხოს, ზარალსა და ხარჯს გარდა, ეს ვადა-გადაცილებული შემოსატანიცაო. თუმცა კარგად იცის, რომ შემოვა და არ დაიკარგება, მაგრამ მაინც-კი იმას ამბობს, რომ როცა შემოვა, მაშინ აღნიშნეთ შემოსავლადაო. შეიძლებოდა ამ წელსაც არ გამოგვერიცხა, მაგრამ ჩვენთვის კარგია, რომ გამოვერიცხოთ, ბანკი მოგებაში იქნება.

დ. სუმბათაშვილი. არ მესმის, რად არის შემოსულად ნაჩვენები, როცა ჯერ არ შემოსულა. ჩემის აზრით, დიდი უკანონობაა, რომ შემოუტანელი, მოსალოდნელი ფული ეხლავე მოგებად ჩაითვალოს. თუ არ შემოსულა ფული, ის ფული არც შემოსავალია და არც მოგება. ვსთქვათ, ვერ შეიძლო მსესხებელმა ვადაზედ მცირედის სარგებლის შემოტანა, ნუ თუ ამისთვის მამული უნდა გაეყიდოს, უნდა დაიღუპოს კაცი. ეს სარგებელი შემოვა კიდეც, მაგრამ რაკი ჯერ არ შემოსულა, ნურც ნაღდს სარგებელში ჩაითვლება.

მ. მაჩაბელი. მაშ სად გინდათ აჩვენოთ ანგარიშში ეს ფული?. საქმე ის არის, რომ თუ არ აღინიშნა, ჰაერში დაკიდებულსავით იქნება ის 45,000 მან. თუ მმართველობა ბანკისა შეღავათს აძლევს, იმიტომ-რომ მამული ღირებულია. ჩემის აზრითა, ეგ შეღავათი სისტემად არ უნდა გახადოთ, რომ სავალდებულოდ არ დააწევეთ მმართველობის წევრთ. მაშინ ვილას გაუბედავენ უარს, მაგით ხომ ხელ-ფეხს შეუკრავდა მმართველობას. არა, ისევ ძველებურადვე დარჩეს ეგ წესი.

სიმ. ანდრონიკაშვილი. არ მესმის, აქ არის და აქ არ არის როგორ იქნება, გვაბრიყვებთ, სასაცილოდ გვიგდებთ, რომ არა გაქვთ და იმის შესახებ-კი ჰლაპარაკობთ.

დ. ი. მუსხელაშვილი. კომიტეტი დაეთანხმა ბ-ნ კობიაშვილის აზრს, მაგრამ ამ წელს-კი არ გამოვრიცხეთ, რადგან უმაგისოდაც წრევანდელ მოგებიდგან 97,000 მან. გამოიწერა. ჩვენ დავადგინეთ, მერმისიდგან შემოვიღოთ ეგ წესი, რადგან ამდენი გამოსაწერი მაშინ აღარ გვექნება.

ა. კობიაშვილი. ეგ სხვა არის, ეგ ფული წინანდელ წლების დანაზარჯი იყო და უნდა შეგვევსო. ეგ ფული ადრევე რომ შემოსულიყო, საქმეში გამოვიყენებდით. რაც დაიხარჯა, უეჭველად უნდა შეივსოს. კარგს ვიზამთ, რომ ეს ფულიც გამოვრიცხოთ, ამით მომავალს წელს ავიცილებთ ამ ვალს.

ალ. ჩოლოყაშვილი. როგორცა სჩანს, ბ-ნ კობიაშვილს უნდა, წელს ყველაფერი გამოირიცხოს, რაც დახარჯულა, ან ზარალი მოგვსვლია და ან ვადა-გადაცილებული სარგებელი არ შემოსულა. რაღა დარჩება? აბა ერთი წაგვიკითხეთ საკრედიტო კანცელარიის ცირკულიარი.

ილ. ჭავჭავაძე. მაგის პასუხს მე მოგახსენებთ. ჩვენ მაგის ცირკულიარი არა გვაქვს-რა. როდესაც პეტერბურგში სადგილ-მამულო ბანკების წარმომადგენელთა კრება მოხდა, სესხის შემოუტანლობის შესახებაც აღიძრა ლაპარაკი. საკრედიტო კანცელარიამ მოსწერა, რომ შემოუტანელი სესხი საზოგადოდ მოგებაში არ უნდა იყოს აღნიშნული, უეჭველად უნდა გამოირიცხოსო. ეს სესხის შესახებ იქმნა საზოგადოდ დადგენილი და არა ვადა-გადაცილებულ სესხის შესახებ, და არც სავალდებულო იყო ყველასათვის ეს დადგენილობა. კრებამ სთხოვა, დიდი ფულია ამ სესხისა თავმოყრილი და ერთად იმის გამოწერა არ შეგვიძლიან, მით უფრო, რომ აქამდე სხვა წესით ვიქცეოდითო. საკრედიტო კანცელარიამ უპასუხა, რომ მე ხომ არ გეუბნებით ძველს წესს ერთბაშად გადაუხვიეთ, მხოლოდ აიცილეთ-კი როგორმე ეგ შემოუტანელი სესხი თავიდგანაო. ამიტომ კრებამ დაადგინა, რომ ხუთის წლის განმავლობაში ცოტ-ცოტა გამოვრიცხოთ ხოლმე ეს ფული მოგებიდგანაო.

დ. სუმბათაშვილი. საგანი სრულიად გამორკვეულია და, რადგან ამ წელს ბევრია გამოწერილი, ჩემის აზრით, დავამტკიცოთ ეგრევე ანგარიში.

მ. მაჩაბელი. არ მესმის ბ-ნ ჭავჭავაძის ლაპარაკი. ამ საგნის შესახებ ისე ლაპარაკობს, თითქოს სახელმძღვანელო წესს გვაძლევდესო, თავისი აზრი-კი არა გვითხრა-რა.

ილ. ჭავჭავაძე. ჩემი აზრი ჩემთვის მაქვს, მე მხოლოდ სხვისი ნათქვამი გავარკვიე, რა წესითაც იხდის ბანკი ჯერ არ შემოსულს შემოსავლელს ფულს. მაგალითად, 1890 წლის 31 დეკემბერს არ შემოვიდა ბანკის ვალი, ეს ფული შემოვა ივნისის თვემდის და რაც 1891 წ. დარჩა შემოუტანელი, იმას 1892 წლის შემოსავალი დაჰფარავს. ეხლა დადგენილ იქმნა, რომ ეგ ვადა-გადაცილებული შემოსატანი გამოირიცხოს ხოლმეო. ბ ნმა მუსხელიშვილმა აკი სთქვა, რომ წელს არ გამოვწერეთ, იმიტომ რომ ბევრი გვქონდა გამოსაწერიო. აქ რა არის გაუგებარი? მე აქ სახელმძღვანელო წესს-კი არ აღვნიშნავ, მხოლოდ ბ-ნ მ. მაჩაბლისთანა ახალ ფინანსისტების საცოდნელად გამოვარკვიე ეს საგანი.

დ. მუსხელიშვილი. ბ-ნებო, როგორ გნებავთ, რაც წრევანდელ მოგებიდგან გამოვრიცხეთ, იკმაროს, თუ ეს ოთხი ათას ხუთასი მანეთიც გამოვწეროთ.

რამდენიმე ხმა. დარჩეს ისევე, დარჩეს, როგორც მოხსენებულია ანგარიშში.

ივ. მაჩაბელი. მაგ ნაირად საკითხის დადგენა, ჩემის აზრით, უწესოა. ერთი-ერთი უნდა გადაწყდეს, თუ გამოწერაა, უნდა გამოვწეროთ, თუ არ უნდა გამოწერა-და, სულ ნუ გამოვწერთ. საკრედიტო კანცელარიამ სთქვა, რომ, ჩემის აზრით, უნდა გამოწერილ იქმნასო. თუმცა აქამდე არც ერთი ბანკი არ გამოსწერდა ხოლმე, მაგრამ რა იქნება, რომ გამოვწეროთ. ის იქნება, რომ, მაგალითებრ, ვისზედაც 30 ივნისის შემოსატანი დარჩა, იმის მამული 31 დეკემბერს უეჭველად უნდა გაიყიდოს. ვსთქვათ, მსესხებელმა შემოიტანა ათასი მანეთი სარგებელი და დარჩა შემოსატანი ხუთი თუმანი. ნუ თუ ამ ხუთის თუმნისათვის მსესხებელს მამული უნდა გაეყიდოს? თუ მივიღებთ ამ წესს და ვადა-გადაცილებულს შემოსატანს მოგებიდგან გამოვრიცხავთ, მაშინ ასე უნდა მოვიქცეთ. როგორ შეიძლება ასეთის დრაკონულის წესის შემოღება! მართლაც თუ ეს წესი დამყარდა, მაშინ მმართველობას არავითარი ნება არ ექნება ერთი მანათიც-კი დააცადოს და შემოსატანად დასტოვოს, რადგან ყოველი დამფუძნებელი ეტყვის, შენ რა ნება გქონდა, რომ დააცადე, შეღავათი მიეცი და ჩემს წრევანდელს მოგებას დააკელიო. თუ მამული არ გაყიდულა, ზედ დარჩენილი შემოსატანიც ნაღდად ჩაითვლება, რადგან ცოტ-ცოტა შემოდის, მისი გამორიცხვა მოგებიდგან შეუძლებელია. მაგალითად, 1891 წლის 1 იანვარს ეს 45 ათასი ხანდუკში არ გვედო, მაგრამ 1 მაისამდე-კი იმდენი შემოვიდა, რომ შემოსატანი მხოლოდ ცხრამეტი ათასი მანეთი-ღა დარჩა და ესეც ნელ-ნელა შეივსება. ჩემის აზრით, ეს ვადა-გადაცილებული შემოსატანი არ უნდა იქმნას მოგებიდგან გამორიცხული.

გ. ორბელიანი. მართალია, შემოსატანის თავის დროზედ შემოუტანლობა ბანკს ავიწროებს, მაგრამ თუ ეს შეღავათი მსესხებელს მოესპო, არც ერთი ბანკში დაგირავებული მამული გაუყიდველი აღარ დარჩება. ფორმალისტობას რომ დაადგეს მმართველობა ბანკისა, არც ერთს მსესხებელს ხსნა აღარ ექმნება და ვერაფერს კაცთ-მოყვარეობას გამოვიჩენთ. ჩემის აზრით, ის 45 ათასი მან. გამოურიცხველი უნდა დავტოვოთ, რადგან ისევე შემოვა. ეჭვი არ არის, მმართველობა ისეთს კაცს არ მისცემს შეღავათს, რომ სანდო არ იყოს.

რამდენიმე ხმა. დარჩეს, დარჩეს.

ი. ს. ჭავჭავაძე. მაშ დამტკიცდეს თუ არა წლიური ანგარიში?

საერთო ხმა. დამტკიცდეს, დამტკიცდეს!..

ნ. ჩოლაყაშვილი. ნუ იქნება დამტკიცებული, ნუ. ჯერ გაგვაგებინეთ, ვისზედ არის ეგ ვალი, იქნება სულ ვაჩუქოთ. რა საიდუმლოა, უთუოდ ან მოპარულია, ან დაკარგული, რომ აგრე ჰმალავთ.

დ. ი. მუსხელაშვილი. მიემართავ ბ-ნ ნ. ჩოლაყაშვილს, რომ დიდი შეურაცხება იქნება იმათი, ვისაც ვალი აქვს, რომ გამოვამჟღავნოთ აქ იმათი ვინაობა. ამით ნდობას დავუკარგავთ.

საერთო ხმა. მართალია, მართალია.

ნ. ჩოლაყაშვილი. ამდენი წელიწადია ბანკი არსებობს, 36 ოზმა ქაღალდი დახარჯულა, გამოუცხადებიათ და არაფერი შეურაცხება არა ყოფილა და რაღა ეხლა იქნება...

გ. თარხნიშვილი. იქნება ბევრსა ჰგონია, რომ ის 45,000 მან. მოგებად არის ჩათვლილი.

საერთო ხმა. კმარა, კმარა, დამტკიცდეს ანგარიში, დამტკიცდეს.

ანგარიში დამტკიცებულ იქმნა.

(შემდეგი იქნება)

---

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მორიგი კრება

12 მაისი

სხდომა დაიწყო მით, რომ ბ-ნმა ლ. ნ. ასათიანმა განიმეორა თავისი სიტყვა, რომელიც წინა დღეს წარმოსთქვა კომისიის დანიშვნის შესახებ, სხვა-და-სხვა შუამდგომლობის განსახილველად. სიტყვა კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა და გამოაცხადა, რომ ბ-ნ ასათიანის აზრი ყოვლად მოსაწონი და შესაწყნარებელიაო. სიტყვას ბ-ნმა ასათიანმა ზედ დაუმატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ ვისგან უნდა შეადგინონ კომისია და რა უნდა დაავალონ. ბ-ნ ასათიანის აზრით, კომისიას შეადგენენ ბბ. მარშლები, რომლებსაც, როცა გარემოება მოითხოვს, შეუძლიათ, გარეშე კაციც მოიწვიონ სხვა-და-სხვა საგნის განსახილველად.

კომისიამ უნდა განიხილოს ყველა სათხოვარი, რომლითაც თავად-აზნაურობის წევრნი მიჰმართავენ ხოლმე თავად-აზნაურთა კრებას და შუამდგომლობას სთხოვენ უმაღლესის მთავრობის წინაშე; უნდა შეჰკრიბოს ყოველივე საჭირო ცნობა (მაგალითად, დამნაშავეთა შესახებ, რომელთათვის კრება ითხოვს შეწყალებასა და პატიებას) სხვა-და-სხვა დაწესებულებიდგან. თხოვნა შუამდგომლობის შესახებ უნდა იყოს შეტანილი კომისიაში არა უგვიანეს ერთის თვისა კრების სხდომის დაწყებამდე. რაკი გამოიძიებს და შეიტყობს რომლისამე საქმის ვითარებას, კომისია თავისს აზრს და საბუთებს წარუდგენს საზოგადო კრებას.

კრებამ ბ-ნ ასათიანის ინსტრუქციაც მოიწონა და სავალდებულოდ იცნა კრებისათვის სამერმისოდ.

ბ-ნი გ. გ. დოდობერიძე ამბობს, რომ მარშლებს გარდა საჭირო კომისიაში იყვნენ დეპუტატებიცაო.

ბ-ნი ასათიანიც ეთანხმება.

თავ. გ. მ. კრისთავი ამბობს: კომისიაში დეპუტატები სრულიადაც არ არიან საჭირონი, რადგანაც მიდრეკილებით მოეკიდებიან სხვა-დასხვა მთხოვნელის შუამდგომლობას, ოღონდ ვისიმე გული მოიგონ და საარჩევნოდ კენჭი იშოვონო.

ბ-ნი გ. აბაშიძე. თქვენ ნება და საბუთი არა გაქვთ, ასე ილაპარაკოთ. ჩვენ დეპუტატებად ისეთს კაცებს არ ვირჩევთ, რომლებიც საზოგადო საქმეს მიდრეკილებით ეკიდებიან.

თავ. გ. კრისთავი. მაგისთანაებისა ჩვენა გვკითხეთ: თქვენ ჯერ გამოცდილნი არა ხართ.

ბ-ნი კ. ზ. ლორთქიფანიძე: სრული თანახმა და თანახმა ვარ და ვიყავი ბ-ნის ასათიანის აზრისა, ხოლო გუშინ იმას ვამბობდი, რომ უკვე შემოტანილს თხოვნებს, რომელთა შესახებ წინად გვქონდა სჯა და ბაასი, ნუ გადავსცემთ კომისიას. რაც შეეხება ახალს საქმეებს, უსათუოდ კომისიამ უნდა განიხილოს ხოლმე.

შემდეგ ბ-ნმა მდივანმა, თავ. ა. წულუკიძემ, წაიკითხა წინა დღის სხდომის დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი.

ბ-ნმა თავმჯდომარემ კრებისამ მოახსენა საზოგადოებას, რომ ყველა მორიგი საქმე განხილული და დაბოლოებულია და ვისმე თუ რაიმე აზრი და სარჩიელი გაქვთ წარმოსადგენი, გთხოვთ, გამოაცხადოთო.

თავ. გ. მ. კრისთავი ამბობს, რომ ჯერ-ჯერობით არავითარი, ცოტათი მაინც საყურადღებო, საქმე არ გვირჩევია, გარდა სხვა-და სხვა დამნაშავეთა თხოვნისა შუამდგომლობის შესახებ, და მე მგონია, რომ ეხლა დროა განვაცხადოთ თუ ვისმე რაიმე სასიკეთო აზრი და საქმე გვაქვს. ნუ თუ ჩვენ არა გვეჭირვება-რა გარდა ამისა, რომ რამდენიმე დამნაშავე დავიბრუნოთ? განა რიგიანი გზები გვაქვს, განა საკმაო სკოლების პატრონნი ვართ და ნუ თუ ერთი მაინც სავალდებულო მოგვეძიება, რომ ხრავინ არაფერს ამბობს ჩვენის სხვა-და-სხვა მრავალ-ნაირის საჭიროების შესახებ?

ბ-ნი კ. ი. ყდენტი ამბობს, რომ უფულად საჭიროა ყურადღება ვათხოვოთ ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას, რომელსაც წელიწადში ორმოცი-ათას მანეთამდე ვანდომებთ. მართალია, ჩვენს ყმაწვილებს სკოლიდგან ცოტა-ოდენი სწავლა გამოაქვთ და ეგ სწავლა მათთვის დიდადაც გამოსაყენებელიაო, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ჩვენს სკოლაში სწავლა-დამთავრებულს ყმაწვილებს არც ერთი ის უფლება არა აქვთ, რომელიც კანონს მიუნიჭებია სხვა მაგ ხარისხის სკოლისათვის. ამბობენ, ვითომ მთავრობა სკოლას შესაფერს უფლებას დაუთმობს, თუ რომ სკოლაზე ზედამხედველობას დავუთმობთ, ანა და თავისი მოხელე ექნება სკოლაში, თუნდაც ინსპექტორი. ჩემის აზრით, ფრიად საჭიროა ვეცადოთ, რომ მთავრობამ ჩვენი სკოლა სხვა იმავე ხარისხის სკოლებს გაუთანასწოროს.

ბ-ნი კ. ზ. ლორთქიფანიძე, ამ სიტყვის პასუხად, მოუთხრობს კრებას, რომ ბ-ნს ყდენტს სრულიადაც არა აქვს შეტყობილი სათავად-აზნაურო სკოლის გარემოება. ორმოცი ათასი მანეთი კი არა, ოცდა-თხი-ათასი მანეთი იხარჯება და ერთს სკოლაზეკი არა, არამედ სამზე: ქუთაისისა და სენაკის მოსამზადებელს სასწავლებლებსა და პროგიმნაზიის კლასებზე. მთავრობამაც იცის ყოველივე გარემოება სკოლისა და ბ-ნი მზრუნველი სამოსწავლო ოლქისა ხშირად ათვალიერებს ჩვენს სკოლას. პროგრამა სკოლისა და პროგიმნაზიისა თვით მთავრობისაგან არის დამტკიცებული, და რაც შეეხება უფლების მინიჭებას და ჩვენის სკოლის გათანასწორებას იმავე ხარისხის სკოლებთან, ამისათვის, კანონის ძალით, საჭიროა ორმოცდა-ათი ათასი მანეთი წარუდგინოთ მთავრობას იმის სათავდებოდ, რომ სკოლას არ გავაუქმებთ და ხარჯს არ მოვაკლებთო.

ბ ნი კ. ჩხეიძე თხოულობს სიტყვას და ამბობს: ვითარცა წევრი ამ საზოგადოებისა მინდა მოგახსენოთ შემდეგი: ყველას გეახსოვს, თუ შარშან რა შფოთი, უთანხმოება და არეულობა სუფევდა და დღესაც სუფევს ჩვენს საზოგადოებაში ბანკის საქმეების მიზეზით. ყველას გეახსოვს, თუ რა ნაირადა ლანძღავდნენ საზოგადოებას სიტყვითა და კალმით, წოდებისა, ხნიერებისა და სქესის განურჩევლად; არ დაუზოგავთ არავინ: არც მოხუცი და ყმაწვილი და არც ქალი. ამის მიზეზი ის იყო, რომ საადგილმამულო ბანკის ზედამხედველს კომიტეტსა და გამგეობას შორის შარშანვე რაღაც უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამოც ერთმანეთს დაეჯახენით ნათესავნი, მოყვარენი და თანამოძმენი. თუ გვინდა, რომ წელსაც, მაისის 21 ს, როდესაც ბანკის წევრთა საზოგადო კრებაა დანიშნული, არავითარი უწესოება არ მოხდეს, ერთმანეთს რომ არ შევეჯახნეთ და ხიშტიანი რუსები რომ გარს არ შემოგვარტყან, საჭიროა ბანკის ზედამხედველს კომიტეტს ვსთხოვოთ ის სახიფათო საგანი (დადგენილება კომიტეტისა მასზედ, რომ თანამდებობიდგან გადაყენებული იქმნას ბ-ნი კ. ნ. ჩიკვაიძე, თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა), რომელიც განზრახვა აქვს წლევანდელს კრებას ბანკისას მოახსენოს, გამორიცხულ იქმნას განსახილველ საქმეთა სიიდგან და არ მოხსენდეს ბანკის წევრთა საზოგადო კრებას. (საზოგადოებაში ტაშის კვრა ისმის)

ბ-ნი გ. გ. დოდობერიძე ამბობს, რომ ეგ საგანი სათავად-აზნაურო კრებას არ ეხება, რადგანაც ბანკი თავად-აზნაურობის საკუთრება არ არის, კანონის ძალით ჩვენ ნება არა გვაქვს, იმ საგანს შევეხოთ აქ, რომელსაც ბ-ნი ჩხეიძე იხსენიებს.

ბ-ნი პავლე ჩხეიძე იმეორებს დედააზრს ბ-ნ კ. ჩხეიძის სიტყვისას და ამბობს, რომ ეგ აზრი კარგი მოსაწონი აზრია და საზოგადოებამაც უნდა შეიწყნაროსო.

ორისავე აზრს ეთანხმება ბ ნი გ. მაჭავარიანი. ე. ერისთავიც ამბობს, რომ საჭიროა შფოთს ბოლო მოეღოსო და ამიტომ ვთხოვოთ კომიტეტს ის საგანი გამორიცხოსო. ბ-ნ გ. აბაშიძე იძახის: დიდადაც საყურადღებოა, სიტყვა მიბოძეთ...

ბ-ნი გ. დოდობერიძე — აბაშიძეს: თქვენ კანონის ძალით ნება არა გაქვთ ამ ლაპარაკისა და ამიტომ გთხოვთ, სიტყვა შესწყვიტოთ.

გ. აბაშიძე, კანონის ძალით ნება მაქვს, ვილაპარაკო.

გ. დოდობერიძე—თავმჯდომარეს: წაუკითხეთ ბ-ნ აბაშიძეს კანონი.

ბ-ნი თავმჯდომარეც ჰკითხულობს კანონს და ამის შემდეგ ბ-ნი აბაშიძე წყნარდება.

ბ-ნი კ. ლორთქიფანიძე პასუხად კ. ჩხეიძის სიტყვისა ამბობს ერცელს სიტყვას მასზედ, რომ იმ საგანზე ლაპარაკი, რომელიც ბ-ნმა ჩხეიძემ მოიხსენია, ჩვენს კრებას არ ეხება; იმაზე ლაპარაკი შესაძლოა მხოლოდ ბანკის კრებაზე. რაც შეეხება უწესოებას, შფოთსა და სხვას, უნდა მოგახსენოთ, რომ შფოთისა და არეულობის შიში არ უნდა გვქონდეს, როცა საქმის განხილვას ვაპირებთ. შიში შფოთისა, არეულობისა და უწესოების მხოლოდ იმათ აქვთ, ვისაც თავიანთ თავის იმედი დაუკარგავთ (საზოგადოებაში ტაშის კვრა ისმის).

ბ-ნი დ. აბდუშელიშვილი ამბობს: მართალია, შფოთი და არეულ-დარეულობა საზოგადოებისა არავისათვის სასიამოვნო არ არის და სანატრელიცაა, რომ ბოლო მოეღოს, მაგრამ ეგ საგანი მარტო ჩვენს თავად-აზნაურობას არ ეხება; ჩვენს მაზრებს გარდა კიდევ სამს მაზრას აქვს მონაწილეობა ბანკში. სენაკისას, ზუგდიდისას და ლეჩხუმისას და მრავალს მსესხებელს. ამიტომაც საჭირო არ არის, ეხლა მაგ საგანზე ვილაპარაკოთ. სჯობს, ვისაც სურს, ეგ საგანი ბანკის კრებას მოახსენოს, თორემ ჩვენ, ჩხეიძის აზრი რომ შევიწყნაროთ, ვინ იცის, იქნება დანარჩენმა წევრებმა ბანკის კრებისამ უსაყვედურონ კომიტეტს, ეგ საგანი რატომ გამორიცხეთ ჩვენგან ნების დაურთველადაო.

ბ-ნი გ. ყდენტის ამავე აზრისაა.

ბ-ნი პავლე ჩხეიძე ამბობს: მართალია, ბანკის საქმე საკუთრად ჩვენ არ შეგვეხება; მთელს სამეგრელოს, ლეჩხუმს და მსესხებლებს აქვთ იმაში მონაწილეობა, მაგრამ ისინი ყველანი ჩვენნი მოძმენნი არიან და ნამდვილად ვიცით, რომ იმათაც უნდათ შფოთს ბოლო მოეღოს და კომიტეტმა ის საგანი გამორიცხოს სიიდგანაო.

საზოგადოებაში ისმის: „კენჭი“, „კენჭი“! ვსთხოვოთ კომიტეტს უკანვე წაიღოს თავისი დადგენილება! არ შეიძლება, კენჭი საჭირო არ არის! ეგ საქმე ჩვენ არ გვეხება, ბანკის კრებას მოხსენდეს!.. და სხვანი.

ბ-ნი მ. ლორთქიფანიძე, ნ. თაყაიშვილი, პლატონ ბერიძე და სხვანი ამბობენ: გადაიდვას ეგ საგანი და რადგანაც ჩვენ არ შეგვეხება, ბანკის კრებას მოხსენდეს.

ბ-ნი კ. ჩხეიძე სიტყვას თხოულობს და შემდეგს ამბობს: წელან მოგახსენეთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში შარშან დიდი შფოთი და არეულობა დატრიალდა იმის გამო, რომ ბანკის ზედამხედველს კომიტეტს და გამგეობას შორის უთანხმოება ჩამოვარდა; ერთმანეთს შევეჯახეთ, დავეტაკეთ, გადავემტერეთ; ამის მიზეზი ჩვენი ნასწავლი განათლებული კაცებია; თავიანთი იმერული ჟანგიანი გული ვერ დაუმუშავებიათ და შურის გამოისობით ეგოდენი უსიამოვნება და განხეთქილება გამოიწვიეს საზოგადოებაში. მე უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ დაბადებიდგანვე ბუნებითი ნიჭი და თავმოყვარეობა დამყოლია და ჩემს თავმოყვარეობას ვერავის გავათელვინებ და სხვანი...

საზოგადოებაში ისმის „კენჭი“! „ვთხოვოთ კომიტეტს, გამორიცხოს ის საგანი“! „არ შეიძლება, ჩვენი საქმე არ არის, ბანკის კრებას მოხსენდეს!“ და სხვანი. წესი ლაპარაკისა და ბაასისა დაირღვა.

ბ-ნი გ. დოდობერიძე—თავმჯდომარეს: დაიცვეით თქვენი უფლება, ასე არ შეიძლება.

ბ-ნი თავმჯდომარე, თავ. ს. გ. წერეთელი აცხადებს, რომ ათის წუთით შემიწყვეტია სხდომაო.

საზოგადოება გადის დარბაზიდგან, შუა დარბაზში, დარბაზის კარებსა და ბულვარში (სხდომა ქალაქის პავილონში გამართული) ცხარე ლაპარაკია, ჩოჩქოლია.

გავიდა ათი წუთიც. სხდომა ხელახლავ იმართება, მაგრამ, რაც წინად იყო, იმისი ნახევარი ხალხი არ არის. თავმჯდომარე ყუთებს ადგმევინებს, და ჰკითხავს კრებას: როგორ გნებავთ, რომ საკითხი საგანი საკენჭოდ გამოვაცხადოთ და დავადგინოთ.

ბ-ნი დ. ნ. აბდუშელიშვილი: მართალია, როგორც წინად მოგახსენეთ, ეგ საქმე მარტო ჩვენი საქმე არ არის და ბევრს სხვას ეხება, მაგრამ შესაძლოა ეგ საკითხი, ასე შევსცვალოთ: ჩვენ შეგვიძლია, ვთხოვოთ კომიტეტს, თუ შესაძლოდ დაინახავს და თუ კანონი ნებას აძლევს, მიჰმართოს კრებას ბანკისას და კრების თანხმობით, თუ-კი კრება თანახმა იქნება, ის სახიფათო საგანი გამორიცხოს განსახილველ საქმეთა სიიდგან.

ბ ნი პავლე ჩხეიძე და სხვანი ეთანხმებიან დ. აბდუშელიშვილს და ეუბნებიან თავმჯდომარეს: უკენჭოდ გადაწყდეს, ყველანი თანახმანი არიან (საზოგადოება იშლება) პროტოკოლში მოიხსენიეთ, რომ ეგ საკითხი ერთხმად გადაწყდა.

სხდომა გადაიდვა მეორე დღისათვის.

დღეს, 13-ს მაისისას, ბულვარში დილა-ადრიანად დიდ-ძალი ხალხი იყრის თავს. ყველა პავილიონისაკენ მიეშურება. თავად-აზნაურობაც ერთი ორად მეტია და დამსწრე მაყურებელი საზოგადოებაც. მრავალი თავადი და აზნაური ჩამოსულა სოფლეიდგან დღეისათვის კენჭის ჩამოტარებაზე დასასწრებლად. პავილიონის დარბაზი საზოგადოებით ივსება, ასე რომ ბევრნი სკამებსაც ვერა შოულობენ და იძულებულნი არიან სხდომა თავიდგან ბოლომდე ფეხზე დგომით მოისმინონ. დარბაზის ზემო და ქვემო ქანდარა სულ ერთიანად მანდილოსნებით არის გაჭედილი. როგორც კრების წევრთა შორის, აგრეთვე დამსწრე მაყურებელს საზოგადოებაშიაც ლაპარაკი, ფაცა-ფუცი და ჩოჩქოლია. ყველა იმის ლაპარაკსა და მოლოდინშია, თუ რა კაცებს აირჩევს იმერეთისა და გურიის თავად-აზნაურობა წარმომადგენლებად. მოსჩანან სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი, რომლებიც არჩევნებზე დასასწრებლად ჩამოსულან, რათა საკუთარის თვალით ჰნახონ, თუ ვისა და ვის აირჩევს ჩვენი საზოგადოება მარშლებად და დეპუტატებად. მართალი უნდა ვთქვათ, სხვებზე უფრო სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურებს დაეწვის გული, თუ ვინიცობაა იმერეთმა და გურიამ არა ღირსეულ კაცთ ჩაუგდო ხელში იმათი ბედი და უბედობა. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ, უმაღლესის ბრძანებით, სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურობის წოდებრივის ღირსება-უფლებას გარჩევა ქუთაისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს აქვს მინდობილი, და სწორედ ეს არის იმის მიზეზი რომ, როგორც ისმის, თითოეულს თანამდებობას ორ-ორი და სამ-სამი კანდიდატი ეჩანება. ამიტომაც არის, რომ იმერეთისა და გურიის თავად-აზნაურთა კრების სხდომის დასრულებას გულის ძგერით ელოდება მთელის სამეგრელოსი და ლეჩხუმის თავად-აზნაურობა.

ყუთები და კენჭები უკვე გამზადებულია. გამოჩნდა ბ-ნი თავმჯდომარე და სხდომაც გაიმართა. ბ-ნმა თავმჯდომარემ კრების წევრთა სიები გადასცა მაზრის მარშლებს. იმის მოლოდინში ვართ, რომ საცაა კენჭის ყრას შეუდგებიანო, მაგრამ კრება აირივ-დაირია და შეიქმნა ცხარი ლაპარაკი და ჩოჩქოლი. კრება ორად გაიყო. ერთი წილი ქუთაისის მაზრისა და რაჭისაც აპირებს არჩევანის გადადებას მეორე დღემდე; მარშლებიც ამ მაზრებისა გადიან დარბაზიდგან და თან მიაქვთ წევრთა სამაზრო სიები; გურიისა და შორაპნის თავად-აზნაურობა-კი დღესვე თხოულობს კენჭის ჩამოტარებას. საზოგადოებაში ისმის „დღეს“, „ხვალ“, „დღეს“, „ხვალ“. თავმჯდომარე ვერას გახდა ზარის რაწკუნით. ამასობაში ერთმა საათმა გასტანა. ბოლოს, საღამოც იყო, შეუდგა კენჭის ჩამოტარებას შორაპნის მაზრა და ოზურგეთისა.

შორაპნის მაზრამ მარშლად წელსაც უგანათლებულესი თავადი ა. ი. ბაგრატიონი აირჩია (63 თეთრი—1 შავი); მარშლის კანდიდატად წინანდელი თავ. გ. აბაშიძე (63 თეთრი—1 შავი), დეპუტატის თანამდებობაზე ორს კანდიდატს ჩამოუტარეს კენჭი: ბ-ნ კ. მაჭავარიანს—წინანდელს—(51 თეთრი—12 შავი) და ბ-ნ დ. ზ. ჩხეიძეს (31 თ—32 შ.) ამ სახით არჩეულ იქმნა ბ-ნი მაჭავარიანი, ხოლო დეპუტატის კანდიდატად—ბ-ნი ი. გამყრელიძე. (54 თ.)

უფრო საინტერესო იყო ოზურგეთის მაზრის არჩევანი და აი რითი. მარშლის თანამდებობისათვის მაზრამ ორი კანდიდატი დაასახელა: წინანდელი მარშალი თავ. ს. გუგუნავა და ახალი თავ. დ. მაჭუტაძე. კენჭი რომ დაითვალეს, აღმოჩნდა, რომ ორსავე თანაბრად მიელო თეთრი და შავი, პირველს ამოუვიდა 42 თეთრი და 33 შავი და ამდენივე თეთრი და შავი თავ. დ. მაჭუტაძეს არგუნა ბედმა.

ამ იშვიათმა გარემოებამ შეაწუხეტინა გურულებს კენჭი და ლაპარაკი. შეიქმნა მეორედ, თუ ვის უნდა ჰხვდეს წილად მარშლობა—

თავ. გუგუნავას, თუ თავ. დ. მაჭუტაძესა. ერთის მომხრეებსაც და მეორისასაც მეტის-მეტი მოუთმენლობა ემჩნევათ. ყველანი ცხარობენ, ნამეტურ თავ. ვ. მ. ერისთავი; ერთმანერთს ეკითხებიან, რითი უნდა გადასწყდეს თავ. გუგუნავასი და მაჭუტაძის შექიდება. ზოგის აზრით, კანონი უპირატესობას თავ. გუგუნავას მისცემს, ვითარცა მარშლად ნამსახურსა, ხოლო აღმოჩნდა, რომ, კანონის ძალით, ორს კანდიდატს მარშლის თანამდებობისას, თუ ერთმანერთზე არც მეტი და არც ნაკლები თეთრი და შავი ამოუვათ, ერთი მათგანი მარშლად ნამყოფიც რომ აღმოჩნდეს, წილი უნდა უყარონ. ამასობაში კარგა ხანი გავიდა. შემდეგ კენჭი ჩამოუტარეს კანდიდატებს დეპუტატის თანამდებობისას. ორი კანდიდატი დაასახელეს—ერთი წინანდელი ბ-ნი ი. ქუთათელაძე—და მეორე—თავ. ი. მაჭუტაძე. არჩეულ იქმნა თავ. მაჭუტაძე (58 თ.—6 შავი), ხოლო ბ-ნს ი. ქუთათელაძეს ამოუვიდა 17 თ. და 47 შ. დეპუტატის კანდიდატად აირჩიეს ბ-ნი ი. მ. ჭყონია (33 თ.—და 11 შავი).

დღევანდელი სხდომა ამით დასრულდა. შემდეგს სხდომას კრება მოანდომებს ქუთაისის მაზრისა და რაჭის წარმომადგენელთა არჩევანს და, თუ მოასწრო, გუბერნიის მარშალსაც ჩამოუტარებს კენჭს.

ა. ნა—ლი

## დეპეშა

14 მაისი

ლონდონი. „Standart“-ს აუწყებენ დეპეშით შანხაიდგან გუშინდელის რიცხვის თარიღით, ქალაქ ნანკინგის მცხოვრებლებმა აიკლეს და მოსრეს ქრისტიან მისსიონერთა სახლები და მისსიონერებმა ძლივს უშველეს თავსა.

15 მაისი.

პეტერბურგი. დღევანდელს დღეს, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გეირგეინის წმიდა კურთხევისას, ისააკის ტაძარში გადახდილ იქმნა სადღესასწაულო ლიტურგია, რომელსაც დაესწრნენ კარის კაცნი და სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი.

უმაღლესის ბრძანებით ეპისკოპოსი კავკავისა პეტრე გადაყვანილ იქმნა ეპისკოპოსად დიდ-უსტიუგისა, ხოლო ეპისკოპოსი დიდ-უსტიუგისა იოანიკი—ეპისკოპოსად კავკავისა.

გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული კანონები წერა-კითხვის სკოლებისა, რომელიც ყოველს ეპარქიაში უნდა დააარსონ, გარდა რიგისა და ფინლიანდიის ეპარქიისა. ეს კანონები ნებას აძლევს მართლ-მადიდებელს სამღვდელოებას, დააარსოს ზემოხსენებული სკოლები ყველგან და პირდაპირ მრევლის მღვდელს ახელმძღვანელებინოს, რათა მოზარდს თაობას შეასწავლოს ჭეშმარიტებანი სარწმუნოებისა და ქრისტიანულის ზნეობისა და განუმტკიცოს სრული ერთგულება ხელმწიფისა და მამულისადმი.

გამოცხადდა 15 მაისს უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი შესახებ იმისა, რომ სახელმწიფოს ჯარში ცვლილებანი მოხდეს.

ათინა. დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე დღეს საღამოს მიემგზავრება ყირიმში.

16 მაისი

მოსკოვი. სასახლეში სტუმართ მისვლა 18 მაისისათვისაა გამოცხადებული სადღესასწაულო მისაგებებლად მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა სატრიუმფო კარია შეკრული, შემკული ყვავილის კონებითა, ფარებითა, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობას სათაურის ასოებით და შემდეგის ყვავილების ასოების წარწერით: „Царю Батющкѣ“, „Царицѣ Матушкѣ“. დროშებს გარდა სახლების მოაჯირები და მისავალი კარები შემკულია ქსოვილებით, ხალიჩებით, ყვავილებით, ვენზელებითა და გამოდგმულია ცხელ ქვეყნების მცენარეები. ბევრს ფანჯარაში ნაქანდაკი სურათებიცა სდგას მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა; მომზადებულია მშვენიერი ჩირაღდანი.

ვლადივოსტოკი. გუშინდელის ღლისთვის ბანაკში დანიშნული ალლუმი წვიმიან დარის გამო არ მოხდა. დღეს დილით მათმა უმაღლესობამ დაათვალიერა სიმაგრენი, ინახულა ფლოტის მოსამსახურენი, რომელთაგანაც მისს უმაღლესობას მიეგებნენ კომანდირი ნავთ-სადგურისა, კონტრ ადმირალი ერმოლოვი და კომანდირი ფლოტზე მოსამსახურეთა, კაპიტანი 1-ლის რანგისა ვიშნიაკოვი. მისს უმაღლესობას თან ახლდნენ გენერალ-გუბერნატორი და წარჩინებულნი სამხედრონი. 7 საათზე საპარადო სადილი დანიშნული სამხედრო გუბერნატორისას.

პარიჟი. დეპუტატთა პალატამ განიხილა კანონი, რომლის ძალითაც ყოველს საფრანგეთის სიმაგრეს, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა მტერმა ალყა შემოარტყა, ფქვილი უნდა ჰქონდეს შენახული ქალაქის მცხოვრებთათვის.

რიო-ჟანეიროდგან იუწყებიან, ძლიერ ბევრი ხალხი იხოცება ყვითელის ციებისაგან და დღეში ოცამდე კაცი კვდება.

ბუქარესტი. მთავრობამ ითხოვა, 45 მილ. ფრანკი გვასესხებინეთ რუმინიის ახალ სიმაგრეთა დასამთავრებლადაო.

პეტერბურგის ბირჟა 14 მაისს

| | მყიდველნი იყვნენ. მან. კ. | გამყიდველნი იყვნენ. მან. კ. | შეკრული. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 74 | 6 76 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 134½ | 135½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 04 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 244 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 223 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 213 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 101 62 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | „ — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამის შორის გზით.

პარასკეობით. დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით. დილით სტამბოლიდამ-ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მაასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მაასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს,

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით რკი გემოვა ფოთიდამ, ბათუმის საკვანტოდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უვან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან გოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადასწყვეტილს გადაზე გემები.

## განცხადებანი

### ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს აველას, ვისაც-კი მოეპოება ხელ-ნაწერი საბა ორბელიანის ნაწ. „სიბრძნე-სიცრუე“, გამოუგზავნოს ამხანაგობის ხარჯით გამგეობას, შესადარებლად ერთმანეთთან, რათა გამოცემა ზემოსენებულის ნაწერებისა ამხანაგობის ხმიერ განზრახული, სრული იყოს, შესწორებული, შენიშვნებით და სხ. შემდეგ დაბეჭდვისა ხელნაწერები დაუბრუნდებათ პატრონთ ამხანაგობისავე ხარჯით.

ადრესი: Тифлисъ, Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (5—4)

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1891 წლის 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოებისა 1890 წლის პირველ აპრილიდგან 1881 წლის პირველ აპრილამდე; მოხსენება გამგე კომიტეტისა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის აწინდელს მდგომარეობაზედ.

2) ხარჯთ-აღრიცხვა ამ 1891 წლის პირველ მაისიდგან მომავალ 1892 წლის პირველ მაისამდე.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით. . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდითა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს,

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . . . „ 30
2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა. „ 30
3) ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ. . . . . . . . . „ 5
4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღნიაშვილის მიერ წიგნი I. „ 30
5) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . „ 75
6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . . . . „ 80
7) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . . . 1 25
8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . . . . . „ 15
9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . „ 25
10) „მარაბდა“ პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . . „ 20
11) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . . „ 20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . . „ 40
12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . . „ 30
13) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . . „ 15
14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . 1 „
15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . . . „ 50
16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . „ 50
17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . „ 60
18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . „ 15
19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. 1 „
20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . 3 50
21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . „ 75
22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . „ 80
23) იგივე უყდო . . . . . . . . . . . . „ 60
24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . „ 70
25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა „ 20
26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . „ 20
27) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა „ 25
28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . „ 10
29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . „ 20
30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . . „ 40
31) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . . . „ 5
32) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . . „ 5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: *Тифлисъ*. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.


Доз. Цен. Тифлисъ, 16-го Мая 1891 г. Типогр афія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.